

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

აკადემიური წერის სტანდარტი

თავი I. სამეცნიერო ნაშრომი და მისი სახეობები

სამეცნიერო ნაშრომის მომზადება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ფარგლებში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. სამეცნიერო ნაშრომის მომზადებისას ავტორის მიერ წარმოჩენილი უნდა იყოს:

- ა) სამეცნიერო მუშაობის წარმოების უნარ-ჩვევები;
- ბ) დარგობრივი ცოდნა;
- გ) შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებით არსებული წესებისა და სტანდარტების ცოდნა;
- დ) რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების, შეფასებისა და ანალიზის უნარი;
- ე) თემის განხილვისა და მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის უნარი.

სამეცნიერო ნაშრომები ერთმანეთისაგან სხვადასხვა ასპექტებით განსხვავდება, კერძოდ: თემის დამუშავების პერიოდით, მოცულობით, გამოყენებული მეთოდოლოგიით, მისაღწევი აკადემიური ხარისხითა და გამოქვეყნების ვალდებულებით. აკადემიურ სივრცეში, უმეტესწილად, იწერება:

- **საშინაო დავალება:** ეს არის პირველი სამეცნიერო ტექსტი, რომელიც იქმნება სტუდენტის მიერ. მისი რეკომენდებული მოცულობაა 10 გვერდი. საშინაო ნაშრომი გულისხმობს სტუდენტის მიერ კონკრეტული თემის შერჩევას, რომელზეც ის სემესტრის განმავლობაში დამოუკიდებლად იმუშავებს და სემესტრის დასასრულს დასკვნითი შეფასების მისაღებად გადაუგზავნის სალექციო კურსის ხელმძღვანელს ან/და ლექტორს. საშინაო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტმა უნდა შეძლოს კვლევის საკითხის/პრობლემის მეცნიერულად დამუშავება: საკითხის დაყოფა-დანაწევრება, გაანალიზება, სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, სამეცნიერო ლიტერატურის დახმარებით ამ საკითხის ახლებურად წარმოჩენა ან პრობლემის ამოხსნის გზების მოძიება და დემონსტრაცია.
- **სასემინარო ნაშრომი:** გულისხმობს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულ დამუშავებას და ცოდნის გადმოცემას სტუდენტის მიერ. სემინარზე შესაძლებელია საკითხების დამუშავება ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. სასემინარო ნაშრომის შესაქმნელად, როგორც წესი, საჭიროა ერთი სემესტრი. სემესტრის დასაწყისში სტუდენტი ირჩევს თემას, სემესტრის განმავლობაში - ლექტორთან ერთად განიხილავს, ხოლო სემესტრის დასასრულს - წარადგენს მოხსენების სახით. სასემინარო ნაშრომის რეკომენდებული მოცულობაა 15 გვერდი, მოხსენების ხანგრძლივობა - 10 წუთი.
- **საბაკალავრო ნაშრომი:** აღნიშნულ ნაშრომს სტუდენტი ბაკალავრიატის ბოლო სემესტრში ქმნის. მისი რეკომენდებული მოცულობაა 40 გვერდი. საბაკალავრო ნაშრომში სტუდენტი იკვლევს და ამუშავებს კონკრეტულ საკითხს უკვე არსებული

სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებითა და ანალიზით. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას სტუდენტს ევალება კონკრეტულ სამეცნიერო საკითხზე ლიტერატურისა და მონაცემების შეგროვება, ანალიზი, კვლევის მეთოდის შერჩევა, კვლევის დაგეგმვა, განხორციელება და შემდეგ სამეცნიერო ნაშრომის გაფორმება. ნაშრომში ასახული უნდა იყოს საბაკალავრო საფეხურზე სწავლის განმავლობაში სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

- **სამაგისტრო ნაშრომი:** აღნიშნული ნაშრომის რეკომენდებული მოცულობაა 70 გვერდი. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას სტუდენტმა უნდა გამოავლინოს კონკრეტული სამეცნიერო პრობლემის გადაჭრისათვის ახალი მეთოდების კომბინაციის შემუშავებისა და პრაქტიკულად გამოყენების უნარი. სტუდენტმა არგუმენტირებული და მიზეზ-შედეგობრივი მსჯელობითა და ანალიზით უნდა წარმოადგინოს კონკრეტულ სამეცნიერო მიმართულებაში კვლევის საკითხზე არსებული მდგომარეობა.
- **სადოქტორო ნაშრომი:** აღნიშნული ნაშრომით სტუდენტი ქმნის ახალ ცოდნას და აანალიზებს, აფასებს მის მნიშვნელობას. სადოქტორო ნაშრომის მინიმალური მოცულობა განისაზღვრება 100 გვერდით, ხოლო მაქსიმალური - 150 გვერდით.
- **სამეცნიერო სტატია:** სადოქტორო ნაშრომის მსგავსად სამეცნიერო სტატიაც ახალი ცოდნის შექმნისათვის არის განსაზღვრული. ეს არის შედარებით მცირე მოცულობის ნაშრომი, რომელიც ერთ კონკრეტულ სამეცნიერო კითხვაზე არის ფოკუსირებული და ასახავს ავტორ(ებ)ის ორიგინალური კვლევის შედეგებს და არგუმენტირებულ დასკვნებს. სამეცნიერო სტატიის მოცულობასა და სტილს კონკრეტული სამეცნიერო პუბლიკაციის გამომცემელი განსაზღვრავს.

თავი II. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა

სამეცნიერო ნაშრომი მკაცრად სტრუქტურირებულია და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- საწყისი გვერდები - თავფურცელი, განაცხადი, სარჩევი, გამოყენებული შემოკლებების ჩამონათვალი;
- ძირითადი გვერდები - შესავალი, ძირითადი ნაწილი (თავები და ქვეთავები), დასკვნა;
- ბოლო გვერდები - ბიბლიოგრაფია, დანართი (საჭიროების შემთხვევაში).

2.1. თავფურცელი

ყველა სამეცნიერო ნაშრომი იწყება თავფურცლით, რომელზეც პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (შემდგომში - თსა) აკადემიური წერის სტანდარტის თანახმად უნდა იყოს აღნიშნული:

- ა) ნაშრომის სათაური - 14 ზომის შრიფტი, გამუქებული;
- ბ) სტუდენტის სახელი და გვარი - 12 ზომის შრიფტი, გამუქებული;
- გ) ნაშრომის ტიპი - 12 ზომის შრიფტი, გამუქების გარეშე;

- დ) სკოლის და/ან საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, კურსი - 12 ზომის შრიფტი, გამუქების გარეშე;
 - ე) სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი და გვარი, აკადემიური ხარისხი - 12 ზომის შრიფტი, გამუქების გარეშე;
 - ვ) დაწესებულება (თსა) – 12 ზომის შრიფტი, გამუქებული;
 - ზ) სამეცნიერო ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი - 12 ზომის შრიფტი, გამუქებული.
- თავფურცელი არ ინომრება. ზემოაღნიშნული ინფორმაცია იწერება ცენტრირებულად.

2.2. განაცხადი

ეს არის სამეცნიერო ნაშრომის მეორე კომპონენტი, რომელიც გაფორმებულია თავფურცლის შემდგომ გვერდზე და მიზნად ისახავს სამეცნიერო ნაშრომის პლაგიატისაგან დაცვას. თსა-ში გამოიყენება განაცხადის მზა ტექსტი, რომელიც სრულდება სამეცნიერო ნაშრომის ავტორის სახელის და გვარის, ნაშრომის მომზადების დასრულების თარიღის მითითებით.

განაცხადის ნიმუში

განაცხადი

მე, ქვემოთ ხელისმომწერი, წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი წარმოადგენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ავტორის სახელი და გვარი, ხელმოწერა
თარიღი

2.3. სარჩევი

სარჩევი ასახავს სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურას და წარმოაჩენს, თუ როგორ არის გააზრებული საკითხი, რა თანმიმდევრობით ხდება კვლევის საკითხის ანალიზი და სამეცნიერო პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. განასხვავებენ სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურირების სხვადასხვა შესაძლებლობას. კერძოდ:

დედუქციური - ზოგადი დებულებიდან/მოვლენიდან ხდება კონკრეტული/კერძო დასკვნის გამოტანა. სამეცნიერო ნაშრომის დედუქციურად სტრუქტურირებაში იგულისხმება ერთი კონკრეტული თეორიის განხილვა და შემდეგ კონკრეტული შემთხვევის გაანალიზება ამ თეორიაზე დაყრდნობით.

ინდუქციური - კონკრეტული/კერძო ფაქტებიდან/დებულებებიდან ზოგადი დასკვნის გამოტანა. ამ შემთხვევაში ერთი კონკრეტული შემთხვევის ან ექსპერიმენტის შედეგების საფუძველზე კონკრეტული სამეცნიერო მიმართულებით იქმნება ახალი ცოდნა. შესაბამისად, ამ კონკრეტული შემთხვევის აღმოჩენამდე არ არსებობდა თეორია ან მიდგომა, რომლის მიხედვითაც შესაბამისი კვლევის ობიექტის შესწავლა იქნებოდა შესაძლებელი.

შედარებითი - სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურირების ამ მოდელის მიზანია იდეების, პიროვნებების, თეორიების, ინტერპრეტაციების, შემთხვევების მსგავსებებისა და განსხვავებების მოძიება და წარმოჩენა. შედარებისათვის აუცილებელი მინიმუმ ორი ობიექტის შერჩევა და გამოყენება.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ემპირიული ნაშრომი, რომელიც სტანდარტულად არის სტრუქტურირებული და მოიცავს:

- კვლევის პრობლემის აღწერას;
- სამეცნიერო ლიტერატურის ან/და სტატისტიკური მონაცემების მიმოხილვას;
- სამეცნიერო ჰიპოთეზებს ან/და კითხვებს;
- კვლევის მეთოდ(ებ)ის აღწერას;
- კვლევის შედეგების პრეზენტაციას;
- შედეგების ინტერპრეტაციას;
- დასკვნებს;
- რეკომენდაციებს;
- ბიბლიოგრაფიას;
- დანართებს.

სამეცნიერო ნაშრომის სარჩევი ლოგიკურად და ადვილად აღსაქმელად უნდა იყოს აგებული. სარჩევის თითოეული პუნქტი უშუალო კავშირში უნდა იყოს კვლევის საკითხთან; ნუმერაცია ზედმიწევნით უნდა ასახავდეს კვლევის თემის სხვადასხვა ასპექტის ურთიერთკავშირს, მათ ძირითად საკითხებსა და ქვეპუნქტებს. სამეცნიერო ნაშრომის თავებისა და ქვეთავების გამოყოფისას მათი მინიმალური რაოდენობა უნდა იყოს 2; ხოლო მათი სათაურები ზედმიწევნით უნდა იყოს შერჩეული. თითოეული თავისა და ქვეთავის სათაური შესაბამისობაში უნდა იყოს მათ შინაარსთან. სარჩევში სათაურების ფორმულირებისას აუცილებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- სათაური უნდა იყოს მოკლე, სხარტი და ინფორმაციული;
- სათაური უნდა დაიწეროს ნომინალური სტილით (ზმნების მინიმალური რაოდენობა, უმეტესწილად გამოიყენება არსებითი სახელები);
- სათაური იწერება სასვენი ნიშნების გარეშე, გამონაკლისია კითხვით ფორმით წარმოდგენილი სათაური;
- ქვეთავების სათაურები სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი სათაურისაგან უნდა განსხვავდებოდეს;
- თითოეული სათაური სამეცნიერო ნაშრომში მხოლოდ ერთხელ უნდა გვხვდებოდეს;

სარჩევის გაფორმებისას გასათვალისწინებელია:

- სათაური „სარჩევი“ 2 სტრიქონით უნდა იყოს დაშორებული ჩამონათვალისგან;
- სარჩევის კომპონენტების გვერდების ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით და იწყება შესავლით;
- თავები და ქვეთავები მინიმუმ ორი ერთეულით უნდა იყოს წარმოდგენილი და გამოყოფილი უნდა იყოს ფორმატირების დონეებით;

- სარჩევის ჩამონათვალში ნუმერაცია არ უკეთდება მხოლოდ: შესავალს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

2.4. შემოკლებების ჩამონათვალი

სამეცნიერო ნაშრომის საწყისი გვერდების ეს კომპონენტი განკუთვნილია ტექსტში გამოყენებული შემოკლებების (აბრევიატურების) განმარტებისათვის.

2.5. შესავალი

სამეცნიერო ნაშრომის შესავალი წარმოადგენს ინფორმაციას სამეცნიერო თემის შესახებ. შესავალი, როგორც წესი, იწყება სამეცნიერო პრობლემის/კვლევის საკითხის აღწერით, გრძელდება კვლევის აქტუალობის დასაბუთებით და სრულდება კვლევის მიზნებისა და სამეცნიერო ჰიპოთეზის ფორმულირებით.

სამეცნიერო პრობლემის/კვლევის საკითხის აღწერა - სამეცნიერო ნაშრომის შესავლის პირველი აბზაცი კვლევის თემის კონტექსტის აღწერას უნდა გულისხმობდეს. ამისათვის შესაძლებელია მოხდეს კვლევის თემასთან დაკავშირებული თეორიული საკითხების, ან თუნდაც საკუთრივ კვლევის თემის ისტორიული ასპექტების მიმოხილვა, პრობლემის ან აქტუალური მოვლენის აღწერა და/ან წინააღმდეგობრივი პოსტულატის ციტირება.

კვლევის აქტუალობის დასაბუთება - სამეცნიერო ნაშრომის შესავალში დასაბუთებული უნდა იყოს აქტუალობა. ამისათვის შესაძლებელია ეფექტურად გამოყენებული იყოს სტატისტიკური მონაცემები, ასევე სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და აღნიშნულ საკითხზე ჩატარებული კვლევების ხარვეზები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შესავლის ამ ნაწილის მომზადებისას პასუხგასაცემია კითხვები:

- რა სამეცნიერო ინფორმაცია არსებობს აღნიშნულ საკითხთან მიმართებით?
- როგორ შეიძლება მოხდეს სამეცნიერო ნაშრომის კორელაცია არსებულ ცოდნასთან?

კვლევის მიზნებისა და სამეცნიერო ჰიპოთეზის ფორმულირება - შესავლის აღნიშნული კომპონენტი განკუთვნილია სამეცნიერო ნაშრომში განსახილველი საკითხების აღწერისა და წარმოდგენისათვის. ეს არის სამეცნიერო ნაშრომის ყველაზე ღირებული კომპონენტი.

სასურველია სამეცნიერო ნაშრომის შესავალში ასევე წარმოდგენილი იყოს კვლევის დიზაინისა და გამოყენებული მეთოდების მოკლე აღწერა. შესავლის ბოლო აბზაცი სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურის აღწერას ეთმობა. სამეცნიერო ნაშრომის შესავლის რეკომენდებული მოცულობაა 5 გვერდი.

2.6. ძირითადი ნაწილი

ძირითადი ნაწილი სამეცნიერო ნაშრომის ყველაზე ვრცელი კომპონენტია. მისი მთავარი ამოცანაა ჩატარებული კვლევის საფუძველზე სამეცნიერო ნაშრომის შესავალში დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა. ძირითადი ნაწილი შეიძლება მოიცავდეს: კვლევის ისტორიული წინაპირობების აღწერას და მიმოხილვას, მთავარი ცნებების განმარტებას, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას და მასზე დაყრდნობით განსაზღვრული სამეცნიერო

პრობლემის დეტალურ ანალიზს, სხვადასხვა სამეცნიერო თეორიების შედარებას და ჩატარებული კვლევების შეფასებას, კვლევის დეტალურ აღწერას და ა.შ. სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი ნაწილის სტრუქტურა და შინაარსი კვლევის თემით, ობიექტითა და მიზნებით განისაზღვრება. ამდენად, ნაშრომის აღნიშნული კომპონენტის სტრუქტურირების უნივერსალური სტანდარტი არ არსებობს, თუმცა შესაძლებელია ზოგადი მოთხოვნების ჩამოყალიბება როგორცაა:

- ა) კვლევის თემის ისტორიული ასპექტების განხილვა და ცნებების განმარტება;
- ბ) სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.

ძირითადი ნაწილის თითოეული თავი თუ ქვეთავი ასევე მკვეთრად უნდა იყოს სტრუქტურირებული, რაც ხელსაყრელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წარმოჩენისათვის, ანალიზისათვის და ა.შ. რეკომენდებულია თითოეული თავის დასაწყისი დაეთმოს მოკლე აღწერას:

- რაზე იყო მსჯელობა წინამორბედ თავებში?
- კვლევის თემის რომელი ასპექტები განიხილება წინამდებარე თავში?
- როგორია ამ კონკრეტული თავის მნიშვნელობა კვლევის თემის განხილვისათვის?
- როგორია სტრუქტურირებული წინამდებარე თავი?

თავები და ქვეთავები უნდა სრულდებოდეს განხილული საკითხების ანალიზითა და შეჯამებით.

2.7. მეთოდები

სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი ნაწილის ეს კომპონენტი მიზნად ისახავს კვლევის წარმართვის დეტალების აღწერას. კერძოდ, რომელი წესები, პროცედურები, მიდგომები და/ან ხელსაწყოები იქნება გამოყენებული კვლევის განსახორციელებლად.

ამდენად, სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი ნაწილი არის ჩატარებული კვლევის აღწერა: რა წაიკითხა სტუდენტმა, რა გაანალიზა, რისი ანალიზი და ინტერპრეტაცია მოახდინა, რა მონაცემები მიიღო და როგორ შეაფასა ისინი. სამეცნიერო ნაშრომის ამ კომპონენტის შესრულებისათვის აუცილებელია:

- ლიტერატურული წყაროების მოძიება;
- არგუმენტირება;
- ციტირება, პარაფრაზირება და რეზიუმირება;
- წყაროების გამოყენება და დამოწმება.

2.8. დასკვნა

ეს არის სამეცნიერო ნაშრომის შემაჯამებელი კომპონენტი, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით უნდა დაიწეროს. დასკვნის მიზანია ჩამოაყალიბოს პასუხი კვლევის კითხვაზე და წარმოადგინოს თუ როგორ შესრულდა და მიღწეულ იქნა თუ არა კვლევის მიზანი. დასკვნის სახით კონკრეტული შედეგები უნდა იყოს შეჯამებული, კერძოდ: რა დადგინდა კვლევისა და მიღებული შედეგების ანალიზითა და ინტერპრეტაციით. სამეცნიერო ნაშრომის დასკვნაში ასახული უნდა იყოს:

- კვლევის მიზანი და სამეცნიერო ჰიპოთეზა;
- მიღებული, კონკრეტული შედეგები;
- შემდგომი კვლევის პერსპექტივები.

დასკვნაში არ უნდა განიხილებოდეს ახალი თემა და საკითხები, რომლებიც არ იყო ნახსენები სამეცნიერო ნაშრომის ძირითად ნაწილში. თუმცა სწორედ ამ კომპონენტში შესაძლებელია ჩატარებული კვლევის შედეგების, მათი აქტუალობისა და მნიშვნელობის ხაზგასმით აღნიშვნა. ამავდროულად, დასკვნა უნდა იყოს ლაკონური. მისი რეკომენდებული მოცულობაა 3-5 გვერდი.

დასკვნაში არ უნდა იყოს გამოტანილი:

- ტექსტური მონაკვეთები, რომლებიც უკვე წარმოდგენილი იყო სამეცნიერო ნაშრომის სხვა კომპონენტებში;
- თეორიული მიმოხილვა;
- ციტატა და პარაფრაზი;
- ცნებათა განმარტებები.

2.9. ბიბლიოგრაფია

ბიბლიოგრაფია, ანუ გამოყენებული ლიტერატურა სამეცნიერო ნაშრომის ის სტრუქტურული ერთეულია, რომელშიც ნაშრომში განხილული, დამუშავებული და ციტირებული ყველა წყარო წარმოდგენილია ანბანური თანმიმდევრობით. პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის აკადემიური წერის სტანდარტით ბიბლიოგრაფიის გამართვისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

- სამეცნიერო ნაშრომის ტექსტში დამოწმებული წყაროები ბიბლიოგრაფიულ მუხლებს უნდა შეესაბამებოდეს;
- ბიბლიოგრაფიაში აღნუსხული ლიტერატურა ლაგდება ანბანური თანმიმდევრობით ავტორთა გვარების მიხედვით;
- ბიბლიოგრაფიული მონაცემები არ ითარგმნება;
- წყაროების ჩამონათვალი არ ინომრება;
- შესაძლებელია წყაროების დაყოფა კატეგორიებად ფორმის მიხედვით (ხელნაწერი, საარქივო კოლექცია, და ა.შ.), რიგის მიხედვით (პირველწყარო, მეორეული წყარო, მესამეხარისხოვანი წყარო) და ენის მიხედვით (გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე, გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე და ა.შ.);
- ბიბლიოგრაფიაში ერთი და იმავე ავტორის ნაშრომების შემთხვევაში ავტორის მონაცემების გამეორება აღარ ხდება. ავტორის გვარისა და სახელის ნაცვლად გამოიყენება წყვეტილი ხაზი;
- ელექტრონულად მოპოვებულ ყველა წყაროს (მაგალითად, წიგნი, სტატია, ვებგვერდი და ა.შ.) სრულ ბიბლიოგრაფიულ მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა ჰქონდეს ბმული და ბმულზე შესვლის უახლესი თარიღი;
- თუ წყაროს ავტორთა რაოდენობა 4 ან მეტია, სამეცნიერო ნაშრომის ტექსტში მისი მითითებისას გამოიყენება აღნიშვნა “et al.”

2.10. დანართი

მონაცემები, რომლებიც სამეცნიერო ნაშრომის აღსაქმელად არის საჭირო, ან წარმოადგენს მიღებული შედეგების, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზისა და დასკვნების ილუსტრაციას, დანართში შეიძლება იყოს თავმოყრილი. სამეცნიერო ნაშრომის ამ სტრუქტურული კომპონენტის საშუალებით კონკრეტულ საკითხზე შესაძლებელია დეტალური ინფორმაციის მოწოდება. დანართის დართვა რეკომენდებულია იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი მონაცემების ძირითად ტექსტში მითითება სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი ტექსტის აღქმას გაართულებს. ასეთ მასალას განეკუთვნება: ცხრილები, გრაფიკები, სურათები და ა.შ. თუ სამეცნიერო ნაშრომს ერთზე მეტი დანართი აქვს, ისინი უნდა დაინომროს. სამეცნიერო ნაშრომის ტექსტში უნდა გაკეთდეს მითითება დანართზე.

თავი III. ციტირება და წყაროს დამოწმება

3.1. ციტატა

ციტატა არის სამეცნიერო ნაშრომში რომელიმე სხვა ტექსტიდან სიტყვასიტყვით, უცვლელად გადმოტანილი მონაკვეთი. ციტირების საშუალებით შესაძლებელია:

- გამყარდეს ავტორის მოსაზრებები დამამტკიცებელი ფაქტების წარმოდგენით;
- გამოყენებული იყოს დედნის დარგობრივი ლექსიკა და ენობრივი სტილი;
- მოყვანილი იყოს საწინააღმდეგო თვალსაზრისი ობიექტურობის შენარჩუნების მიზნით;
- შეიქმნას საფუძველი შემდგომი მსჯელობისათვის.

ციტირების შემთხვევაში გათვალისწინებული და დაცული უნდა იყოს შემდეგი სტანდარტები:

- ციტირება სანდო წყაროდან: ციტატა სიფრთხილით უნდა იყოს შერჩეული. რელევანტური და სანდო წყაროდან ციტირება განსაზღვრავს სამეცნიერო ნაშრომის ღირებულებასა და ხარისხს, ასევე მიუთითებს ავტორის პროფესიონალიზმზე.
- ციტატების რაოდენობა: სამეცნიერო ნაშრომი ავტორის საკუთარი სიტყვებით უნდა იყოს დაწერილი. ციტატები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს ჩართული ტექსტში, თუკი ეს აუცილებელია მსჯელობისა და მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის განვითარებისათვის.
- ბრჭყალები: სხვადასხვა ენოვანი ციტატების მოყვანისას ფორმატი განსხვავებულია. ქართული და გერმანულენოვანი წყაროების ციტირებისას გამოიყენება - „...“, ინგლისურენოვანი ციტატებისათვის - “...“, ხოლო ფრანგულენოვანის შემთხვევაში - «...».
- მოკლე ციტატა: არ აღემატება ოთხ სტრიქონს, განთავსებულია ძირითად ტექსტში და იწერება ბრჭყალებით.
- გრძელი ციტატა: აღემატება ოთხ სტრიქონს, იწერება ბრჭყალების გარეშე, თვალსაჩინოებისათვის თითო ხაზით ზემოთ და ქვემოთ გამოეყოფა ძირითად ტექსტს,

კიდები თითო სანტიმეტრით არის შეწეული, შემცირებულია შრიფტის ზომა (11) და სტრიქონებს შორის ინტერვალი (1.15).

- ფრაგმენტული ციტატა: მოყვანილი ციტატის ავტორის მოსაზრებებთან ლოგიკურად გადაზომისათვის დასაშვებია ციტატის შეცვლა შინაარსის ცვლილების გარეშე. ციტატაში სიტყვის ან წინადადების გამოტოვების შემთხვევაში, გამოტოვებული მონაკვეთი აღინიშნება კვადრატული ფრჩხილით - [...]. ავტორის მიერ ციტატაში კომენტარის ან განმარტების ჩამატება ასევე კვადრატული ფრჩხილით აღინიშნება.
- ციტატა ციტატაში: სხვა წყაროში ციტირებული ციტატის მოყვანისას გამოიყენება მარტივი ბრჭყალები , ე.წ. აპოსტროფები ('...').
- უცხოენოვანი ციტატა: სამეცნიერო ნაშრომის ძირითად ტექსტში ციტატა ორიგინალის ენაზე უნდა იყოს მოყვანილი, ხოლო თარგმანი მთარგმნელის მონაცემებთან ერთად აისახება სქოლიოში. მთარგმნელის მონაცემები მხოლოდ ერთხელ, პირველ თარგმანთან ერთად უნდა იყოს მითითებული.
- შეცდომა ციტატაში: ციტატად შერჩეულ მონაკვეთში შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში მის გასწვრივ კვადრატულ ფრჩხილებში ლათინური მინიშნებით [sic!] ხდება შეცდომის მითითება.
- ციტატის ჩართვა მსჯელობაში: სამეცნიერო ნაშრომის ტექსტში ციტატა ორი სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი: ა) დამოუკიდებელი წინადადების, ანუ ნაწყვეტის სახით, რომელიც თანდართული იქნება ავტორის განმარტებითი მსჯელობით, ან ბ) ავტორის მსჯელობაში იქნება ჩართული.
- პარაფრაზი: არაპირდაპირი ციტატაა. ამ შემთხვევაში იცვლება წინადადების წყობა და არა შინაარსი, სიტყვათა უმეტესობა ჩანაცვლდება სინონიმებით. გადმოცემული შინაარსი იწერება ბრჭყალების გარეშე. პარაფრაზირების დასრულების შემდეგ სამეცნიერო ნაშრომის ტექსტი ისევე უნდა დამოწმდეს, როგორც ციტატა. პარაფრაზი თანდართული უნდა იყოს ავტორის შეფასებით.
- რეზიუმირება: სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისას ტექსტის ვრცელი მონაკვეთების ავტორის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა-შეჯამება. რეზიუმირება უნდა იყოს მაქსიმალურად მოკლე და პასუხობდეს შემდეგ კითხვებს: ა) ვინ არის ავტორი?; ბ) სად გამოიცა წყარო? გ) რის გამოკვლევას ისახავდა მიზნად, როგორ იყო სტრუქტურირებული რეზიუმირებული სამეცნიერო ნაშრომი?; დ) როგორ წარიმართა კვლევა?; ე) რა შედეგები იქნა მიღებული?.

3.2. წყაროს დამოწმება

სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას აუცილებელია წყაროს მითითება როდესაც:

- მოყვანილია ციტატა;
- სამეცნიერო ნაშრომის ავტორი თავისი სიტყვებით (აკეთებს პარაფრაზს ან რეზიუმეს) გადმოსცემს სხვა ავტორთა იდეებს, მოსაზრებებს, დასკვნებსა და ა.შ.;
- სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ხაზგასმით მიუთითებს იმ წყაროებზე, რომლებიც შეესაბამება მის მსჯელობას, არგუმენტებს (აკეთებს მინიშნებას);

- სამეცნიერო ნაშრომის ავტორი იყენებს სხვა ავტორთა კვლევების სტატისტიკურ მონაცემებსა და ფაქტებს (ამ შემთხვევაში აუცილებელია უშუალოდ სტატისტიკური მონაცემების ავტორის მითითება).

წყაროს დამოწმება წარმოებს როგორც ტექსტის შიგნით (შესაძლოა გამოყენებული იყოს ტექსტში ჩართული ე.წ. მოკლე დამოწმება ან შენიშვნები, სქოლიოში მითითების ფორმატი), ასევე ტექსტის გარეთ, ბიბლიოგრაფიაში. არსებობს წყაროების დამოწმების სხვადასხვა სტილი, კერძოდ, ჩიკაგოსა და ჰარვარდის სტილი, APA (American Psychological Association), MLA (Modern Language Association) და ა.შ.

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის აკადემიური წერის სტანდარტით განსაზღვრულია APA (American Psychological Association) სტილი.

თსა-ს აკადემიური წერის სტანდარტით განსაზღვრულია წყაროების ტექსტის შიგნით დამოწმების ორივე, ტექსტში ჩართული და შენიშვნებში მითითების ფორმატი.

წყაროს სამეცნიერო ნაშრომის ტექსტში ჩართული მითითებისას (ე.წ. მოკლე დამოწმება) კონკრეტულ ადგილას ფრჩხილებში მითითებული უნდა იყოს მხოლოდ ავტორის გვარი, წყაროს გამოცემის წელი და გვერდი, საიდანაცაა მოყვანილი ციტატა. წყაროს სრული მონაცემები სამეცნიერო ნაშრომის ტექსტის გარეთ, ბიბლიოგრაფიაში, უნდა იყოს აღნუსხული.

წყაროს სამეცნიერო ნაშრომის შენიშვნებში მითითების ფორმატის, ე.წ. ტექსტქვეშა დამოწმების შემთხვევაში წყაროს მითითება ხდება წინადადების ბოლოს სქოლიოს ინდექსის დასმით და სათანადოდ დანომრილ შენიშვნებში, გვერდის ბოლოს, წყაროს სრული მონაცემების მითითებით. შენიშვნებში დამოწმებული წყაროები ასევე სამეცნიერო ნაშრომის ბოლოს, დართულ ბიბლიოგრაფიაშიც, უნდა აღინუსხოს. შენიშვნებში წყაროს დამოწმებისას მნიშვნელოვანია შემდეგი სტანდარტების დაცვა:

- შენიშვნებში წყაროს პირველად დამოწმებისას მითითებული უნდა იყოს წყაროს შესახებ სრული ინფორმაცია: ავტორი, სათაური, ინფორმაცია გამოცემის შესახებ და გვერდ(ებ)ის ნუმერაცია.
- წყაროს ხელმეორედ გამოყენებისას იწერება მისი შემოკლებული მონაცემები: ავტორის გვარი, შემოკლებული სათაური, გვერდების ნუმერაცია.
- სამეცნიერო ნაშრომის იმავე გვერდზე წყაროს გამეორების შემთხვევაში (თუ დამოწმებული წყაროს შემდეგ სხვა ტექსტი არ არის მითითებული) სქოლიოში იწერება სიტყვა „იქვე“ ან ლათინურად *ibidem* (შემოკლებით - *ibid*).

ბიბლიოგრაფიაში წყაროს მითითების პრინციპი დამოკიდებულია დამოწმების ტიპზე. თუ გამოიყენება სამეცნიერო ნაშრომის ტექსტში ჩართული დამოწმება, ბიბლიოგრაფიაში წყარო მიეთითება შემდეგნაირად: ავტორის გვარი და სახელი, გამოცემის წელი, ნაშრომის სათაური (დახრილი შრიფტით), გამოცემის ადგილი და გამომცემლობა.

თუ წყარო სამეცნიერო ნაშრომის შენიშვნებში მოწმდება, ბიბლიოგრაფიაში წყაროს მითითების სტილი შემდეგია: ავტორის გვარი და სახელი, ნაშრომის სათაური (დახრილი შრიფტით), გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი.

თავი IV. სამეცნიერო ნაშრომის ფორმატი

სამეცნიერო ნაშრომი განსაზღვრული ფორმით უნდა იყოს შესრულებული. თსა-ს აკადემიური წერის სტანდარტი გულისხმობს:

- შრიფტი - ქართულენოვანი ტექსტის შემთხვევაში გამოიყენება შრიფტი Sylfaen, ხოლო ინგლისურენოვანის შემთხვევაში - Times New Roman. ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა უნდა იყოს 12 გამუქების გარეშე, სათაურის შრიფტის ზომა - 14, გამუქებული და ცენტრირებული, სქოლიოსა და ტექსტიდან გამოყოფილი ციტატის შრიფტის ზომა - 10.
- ინტერვალი სტრიქონებს შორის - ძირითად ტექსტში 1.5; სქოლიოსა და ტექსტიდან გამოყოფილი ციტატის შემთხვევაში - 1.
- აბზაცები - სამეცნიერო ნაშრომის ტექსტი დაყოფილი უნდა იყოს აბზაცებად. რეკომენდებულია თითოეული აბზაცი არ იყოს 3 სტრიქონზე ნაკლები და გვერდის 1/2-ზე მეტი. აბზაცებს შორის არ უნდა იყოს დატოვებული ცარიელი ხაზი. აბზაცებს შორის ინტერვალის ფორმატირება: Paragraph -> Spacing After - 6; Spacing Before - 0.
- ველები - ზედა ველი - 2 სმ, ქვედა ველი - 2 სმ; მარცხენა ველი - 2,5 სმ; მარჯვენა ველი - 2 სმ. ტექსტი ორივე, მარჯვენა და მარცხენა, კიდეზე მწყობრად უნდა იყოს განლაგებული. ამისათვის მონიშნული უნდა იყოს Justify ფუნქცია.
- გვერდების დანომვრა - იწყება შესავლის პირველი გვერდიდან (ეს იქნება პირველი გვერდი). გვერდის ნუმერაცია უნდა განთავსდეს მარჯვნივ და ქვემოთ: Insert -> Page Number -> Bottom of Page -> Right.
- ბიბლიოგრაფიაში თითოეული წყაროს მოყვანისას პირველის გარდა ყველა სტრიქონი შეწყულია მარჯვნივ 1.2 სმ-ით.